# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 16

„25" იანვარი 2019 წ

ქ. თბილისი

**სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლისათვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ დადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს ზურაბ იარაჯულის სახელი და სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„სსიპ - ზურაბ იარაჯულის სახელობის ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლა"**.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე